# ხელშეკრულება№17112016/1

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.გორი 17 ნოემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში – შემსყიდველი),მისი დირექტორის თამარ აფციაურის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417879399) და მეორეს მხრივ, ი.მ მალხაზი უმეკაშვილი (საიდენტიფიკაციო კოდი 43001000395 (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისთვის" ავტომობილის ნაწილების და აქსესუარების შესყიდვა.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

### *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1 შესყიდვის ობიექტია: ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება

| № | საქონლის კოდი | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდ. | ერთ. ფასი | საქონლის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | CPV 24951311 | ანტიფრიზი | ლიტრი | 5 | 8 | 40 |
| 2 | CPV 09211100 | ზეთი | ლიტრი | 2 | 5 | 10 |
| 3 | CPV 24961000 | რადიატორის ჭებო | ცალი | 1 | 10 | 10 |
| 4 | CPV 44442000 | საკისარი | ცალი | 2 | 15 | 30 |

### *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 90 (ოთხმოცდაათი) ლარს, ყველა თანმდევი გადასახადების გათვალისწინებით.

### *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. გორი

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ერთდროული ანგარიშსწორებით, თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად შესყიდვის ობიექტის მოწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30(ოცდაათი) კალენდარული დღისა.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღეში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03 პროცენტის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 1 თებერვლამდე.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის დირექტორი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

ააიპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის
მერიის მოუვლელ ცხოველთა თავშესაფარი
ს.კ 417879309
სახელმწიფო ხაზინა TRESGE 22
გორი, მოსკოვის ქ. №1

**მიმწოდებელი:**

იმ მალხაზი უშკაშვილი
ს/კ 4300100395
ს.ს „ლიბერთი ბანკი" MIBGE 22
ა/ა : N GE34PC0143600100034813
გორი ბაქოს ქ. № 14/13

შემსყიდველი :

/ თ. აფციაური /

მიმწოდებელი :

/მ. უშკაშვილი/

# მიღება-ჩაბარების აქტი
## (ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

გორი

17 ნოემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის თამარ აფციაურის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417879399) და მეორეს მხრივ, ი.მ მალხაზი უმეკაშვილი (საიდენტიფიკაციო კოდი 43001000395 (შემდგომში – მიმწოდებელი). ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" მაწოდა ავტომანქანის ნაწილები და აქსესუარები. რაზედაც "შემსყიდველი" "მიმწოდებელს" გადაურიცხავს 90 (ოთხმოცდაათი) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

მიმწოდებელი

შემსყიდველი

მ.უმეკაშვილი

თ. აფციაური